# ხელშეკრულება N18
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ტყიბული 19.02.2016 წელი

ერთი მხრივ, შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „მეშახტე" დირექტორის **რამაზი სანიკიძის** სახით (შემდგომში „დამკვეთი") და მეორე მხრივ შ.პ.ს. „სპორტული ბაზა" წარმომადგენლის -თამარ ბოლქვაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას. (კლასიფიკატორის კოდი) CPV(37450000, 18938000)

### 1. ხელშეკრულების საგანი

შესყიდვის ობიექტი: ლაფის ჩასაფხი ნაწილი, ვიბრატორი

შესყიდვის რაოდენობა: 1 ნაწილი, 2 ვიბრატორი ( ან დანართის შესაბამისად)

დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### 2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 270 (ორასსამოცდაათი)ლარი

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

### 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

### 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული შესაბამისი სასაქონლო ზედდებულის ან ანგარიშ-ფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „მეშახტე"-ს დირექტორი ან სპორტული ბაზის დირექტორი.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება მისამართებზე ტყიბული, სოლომონ მეორეს ქ. სპორტული ბაზა.

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **2016 წლის** 19.02.16 **და მოქმედებს 2016 წლის** 29.02 **ჩათვლით**

### 6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე ორ ექზემპლარად. თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან და ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 19.02.25 და მოქმედებს 2016 წლის 29.03.26 / ჩათვლით.

## 12. მხარეთა რეკვიზიტები:

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“<br>ს/კ 219630228<br>მისამართი: ტყიბული, თაყაიშვილის ქ.N 3<br>TBCBG22 თიბისი ბანკი<br>GE50TB7472636080100008 | [illegible]<br>[illegible]<br>ს/კ 404421345<br>[illegible] "TBCBGE22"<br>ს/ს GE27TB7903936080100003 |
| შემსყიდველი | მიმწოდებელი |